საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-862

11/06/2021

ქ. თბილისი

„შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის №ი-5 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 29 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა უცხოური საწარმოს ფილიალის შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ დირექტორმა და ითხოვა 2013 წლის №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის წარმოებაზე (ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცეცხლაური), გაიცა №15 (01.05.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

უცხოური საწარმოს ფილიალის შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის №ი-5 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს უცხოური საწარმოს ფილიალს შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს უცხოური საწარმოს ფილიალის შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი